

რედაქცია: სოლოლოვზე, ბალის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дრობნა“.

ბაზეთის უსანი: მთელი წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

უსანი განცხადებისათვის: ერთი თვისათვის 1 კაპ., სამი თვისათვის 3 კაპ., ექვსი თვისათვის 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (საღოვის) ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дრობნა“.

უსანი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 16 ივნისს. გაზეთს „ზოლოსში“ იწერებინან: კამისიამ, რომელიც დანიშნული იყო მთავრობისაგან ძავეკასიის მთიულეების გადასახლების თაობაზე, ამ დღეებში გაათავა თავის საქმე და შემდეგი წესები დაადგინა ამ საგნის შესახებ:

ა). ძავეკასიის მთიულეებს გადასახლებენ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში თითო-თითოთ, ოჯახობით კი როცა დიდი საქროება მოითხოვს, ისიც თითოეულ ოჯახს ცალკე;

ბ). მთიულეებს წაიყვანენ ეტაბით (ქვევითად, სალდათებით) და დაასახლებენ იქ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უჩვენებს;

გ). მთიულეებს, რომელთაც მიწის მუშაობა შეუძლიანთ, ტომბოვისა და სარატოვის გუბერნიისაში დაასახლებენ; ვისაც მიწის მუშაობა არ შეუძლიანთ, იმათ კი დაასახლებენ ქალაქებში;

დ). სოფლებში დასახლებულებს პირველი ორი წლის განმავლობაში და ქალაქებში კი მუდამ ეძლევათ ხაზინი-დამ სახარჯოთ ფული ორი იმდენი, რამდენიც ტუსალებსა აქვთ; ქალაქებში დასახლებულებს ამას გარდა სახლის ქირათ მიეცემათ თვეში მანეთ-ნახევარი;

თუ მთელი სოფლები იქმნენ ერთად გარდასახლებულნი, ამათ გაგზავნიან ზღვით აღმოსავლეთ სიბიერში.

— „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ დიდი მთავარი ძოსტანტინე ნიკოლოზის ძე და დ. მ. ძოსტანტინე ძოსტანტინეს ძე 15 ივნისს დაბრუნებულან პავლოვსკში.

მმრსალი, 16 ივნისს. დეპუტატების პალატამ ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, რომ დაიწყოს განხილვა ჭერის კანონპროექტის თითოეულის მუხლისა.

ლონდონი, 16 ივნისს. ოსმალეთის მთავრობამ გაუგზავნა მეროპის სახელმწიფოებს დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ სულთანის ირადე (ბრძანება) 1841 წლისა ისევე თავის ძალაში შედის და 1873 წლის ირადე, რომლითაც მგვიბტეს ქედის მინიჭებული ჰქონდა უფლება უცხო ქვეყნებთან პირობების შეკვრისა და მგვიბტეში ჯარის მოკრებისა, ეს ირადე გაუქმდებო.

ლონდონი, 16 ივნისს. ლორდ ძარნარვონმა მიაკცია ლორდების პალატის ყურადღება სომხეთის მდგომარეობაზე და ამტკიცებდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ არ შეასრულა, სომხეთის შესახებ, ის პირობანი, რომელნიც ტრაქტატით უნდა შეესრულებინათ.

პეტერბურლი, 16 ივნისს. დღეს შეჩერების შემდეგ ხელ-ახლად დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „რუსსკაია პრედამ“. „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ, უმაღლესის ბრძანებით, უნდა გამოიცეს 6 მილიონის ვერცხლის ფული 48 პროცენტისა; ამას გარდა გამოვა სახელმწიფო ხაზინის სერიები 50 მანეთის ღირსებისა, რვა წლით, სარგებელი წელიწადში ექნება 4 მან. და 32 კაპ.

საქართველო

დღიური

* აჭარიდამ ხალხის გადასახლების თაობაზე გაზეთის „ძავეკასის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა, რომელიც აჭარის მაზრის უფროსს უფ. მაიორს სტეფანოვს გარდაუცვია რედაქციისათვის:

აჭარის სამს ნაწილში: ზემო და შვემო აჭარაში და მაჭახელში დაახლოებით ექვსი ათას კომლამდინ ითვლება. ზემო აჭარიდამ ჯერ არც ერთი კომლი არ გადასახლებულა; მხოლოდ ორმა მოსახლემ გამოაცხადა სურვილი გადასახლებისა. შვემო-აჭარიდამ და მაჭახელიდამ სულ რვაას კომლმა გამოაცხადა გადასახლების სურვილი და ზოგიერთე-

ბი კიდევ წაიდგინ, მაგრამ ზოგნი ამ რიცხვიდამ უკანვე დაბრუნდნენ. ამ გადასახლების მიზეზი ოსმან-ფაშა მიადგირიძეა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გადასახლებამ იკლო.

მკითხველს ესომება, რომ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ბათუმიდამ მიღებული ტელეგრაფმა, რომლიდამაც სჩანდა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში აჭარიდამ გადასახლებულა 750 კომლი და ზოგნიც კიდევ ემზადებინ ოსმალეთში გადასვლასაო. როგორც ჰხედავთ, ოფიციალური ცნობები ეთანხმებინ ჩვენს გაზეთში მოყვანილ ცნობასა.

* ჩვენ მივიღეთ შორაპნიდამ შემდეგი შენიშნვა:

„ბუშინ დილას ჩვენი გამოჩენილი პოლიციის პრისტავი ძანდელაკი შვირილიდამ წაიდგინე სხრაწყაროს სოფელში ერთი უბედური ქვრივის სახლიდამ გამოსაგდებად.

„დიდი მამაცობა გამოჩინა პრისტავს, მაგრამ დედა-კაცი ვერ გამოეგდოთ სახლიდამ. ღირს ამ საქმის ვაგება. აი რას-შია საქმე:

„იყო ერთი ბერი კაცი ლეჟავა, რომელსაც ყავდა ერთი შვილის-შვილი ვაჟი. შვილის-შვილმა პაპას რაღაცაზე გუელი მოაყვანინა და ამის გამო მეორე ცოლს, რომელსაც არაფერი არ გაჩნდა, დაუმტკიცა მრთელი მამული ღირებულის 15,000 მ. ძალი მალე მოკვდა. მოკვდა საწყალი შვილი-შვილიც, რომელსაც დარჩა ცოლი და სამი პატარა ბავში. მოკვდა ბერი-კაცი ლეჟავაც აღვინი დარჩა ორ შვილს, ლეჟავას გერებს—ზუნცაძეებს, რომელზედაც 12,000 მან. გირაობის ქალაღი არის შედგენილი. სხვათა შორის ამ ლეჟავას მამულზე 6,000 მანეთამდე თ. მიხვილ წერეთლის ვალია.

„ამ ორ მოვალეებს უნდათ ჩივიდონ ხელში მამული, ქვრივი და ობლები კი რჩებიან საწყლები, ულუკმა-პუროთ. შვირივი არ ანებებს ნებით. იყო ბერი ლაპარაკი, რომ ამ საცოდავ ქვრივს 700 მ. მაინც მისცენ ობლებითურთ. მაგრამ არ მოხერხდა.

„მომრიგებელმა მოსამართლემ გადაწყვიტა ჩაბარება გირაოთი მამულის და სახლ-კარისა გერებზე და გადაწყვიტა ისე, რომ მოვიდეს სისრულეში მისი განჩინება ოსმალეთის სასამართლოში განხილვამდე.

„ბევრჯერ დააპირებს ამ ქალის გა-

სიბი-ბიბი

ილიან მარტო იბიბი 08

მოგდება ობლებით, მაგრამ ქალი ძალა-
ზე ღვას და ვერა მოუხერხეს-რა. ზუშინ
მივიდნენ იერიშით. პრისტავის ბრძანე-
ბით სტაცეს დედა-კაცს ხელი . . .

და ათრედნენ გარეთ; მაგრამ ძლიერ
გამაგრდა. ობლების ტირილი და წივი-
ლი ქვას ააჭირებდა. მამოხდნენ ამ
ღროს ძმები ამ ქერივისა, თ. აბაშიძეები,
და დახსნეს თავისი და.

„აბბობენ, აქტი შეუდგენია პრისტავს
წინააღმდეგობაზე და ხომ იცით, რა
მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ დროში
ამ აქტებს. ერთ კაცს შეირილაში
აქტი შეუდგენა—როტამ შენი სახლის
ბუნხრად კომლი გამოდისო!“

„ახლა სულში დაბარებას აჭირებენ
ამ ქერივისას და მაშინ იზოგენიან მარჯ-
ვე ღროს, რომ სახლიდამ გამოუდგონ
ყველაფერი...“

X.

„ღრომბის“ კორმსკონდენსია

სოფ. ღმბი, (რაჭაში), 7 ივნისს. წრე-
ვანდელი წელიწადი შესანიშნავია სხვა-
და-სხვა ნაირ ავანტიურობითა, როგორც
მაგ. ყვავილითა, ჭვალბითა, ხურვებითა და
ხვედებითა. შევლა ამ გვარ სენებს ჩვე-
ნი დაბალი ხალხი „ბატონებს“ უწოდებს
და ბატონ ურათაც უძღვრიან სიმღერას:

ვატონი

ისტორიის მასალები

(მაგრძელება *)

თუმც სიმონ მეფემ დაიწყო მართვა
საქართველოსა, მაგრამ რა მართვა იყო
ისა! მუდამ გულ სისხლი ჩასდიოდა!
იქით პარსელებსა და აქით ოსმალო-
ების მძლავრობისაგან გაჭირ-ბოროტებუ-
ლი მოთმინებითგან გამოდიოდა... იმ
ხნის მეფე-მთავრებში მხოლოდ ეს ერ-
თი გამოვიდა სამშობლო ქვეყნის გულ-
შემატკივარი; მხოლოდ ამან იგრძნო
წვა და დავა ქრისტიანეთა; მხოლოდ
ამან დაიშინა თავის გამჭრიახის შორ-
მხედველის გონებითა ჩვენი ქვეყნის
უკანასკნელი გაოხრების შედეგები მაგ-
რამ რა ექმნა, ხელთ არა ჰქონდა.

შეიქობდა ბევრ სასიკეთო ღონეხერ-
ხებსა, საშუალებასა; მაგრამ არსდთან
არ ჰქონდა ფარსაკი იმედი. „ძმა ძმის
მტერიო და ღმერთი ორნივეს განმამტე-
რიო“. მე იყო სწორედ იმერეთი თა-
ვისი მეფით შორს გამდგარყო, ძახეთი
ანლო არ ეკარებოდა არავისა, სამეგ-
რელო შურულულის ქვით თავს იტყვედა,
მურიან ტაცვაი-გლეჯაზედ გახედებულ
იყო, რაჭაც, უნდოდა, მონა იყო იმე-
რეთის მეფისა, არ უნდოდა, ბატონი
იყო; სვანი, აფხაზი და ოსი ხომ აღა-
რავის არგებდნენ. დაშთენოდა თავის
ხელთ მართლ მიგლეჯილ-მოგლეჯილი
მართლი, — ისიც მეტად გადატყვებული
და დაცემული, და შესაწევრად ღინტ-

„ბატონებო, მხიარულნო, ვარდი თქვენს
გზასაო!“

შეუდგება კი არის ჭეშმარიტად!
ჯერ ერთი ბატონის სამსახურიც ძნელი
მოსახერხებელია, თვარა ამდენი ბატო-
ნების! ამ დალოცვილების საქმეც
სწორეთ გასაკვირველია; ზოგს ვარდი
მოსწონს, ზოგს ია, ზოგს ძველი ღვინო
და ზოგს მაჭარი! ზოგი კიდე თურმე,
თუ მწარე სასმელი არ მიართვი, გავი-
რისხდება...

მთელი სამი თვე მუთაისში ავთ-
მყოფობამ ტყავი გამაძრო. ჯერ ვარზე
ვადექ, არ ვემორჩილებოდი; მაგრამ ბო-
ლოს, როცა დამცა ძირს, მოვიდნენ
ნაცნობები და მირჩიეს:

„შმაწილო, ჭკვით იყავ, დალოცვი-
ლი ბატონები გწვევიან, არ გააჯავრო,
თორემ უფრო ცუდათ მოგეპყრობი-
ნო!“

ჩივას დავემორჩილე, რაც ძალი და
ლონე მქონდა, დაუწყე ბატონებს პატი-
ვის-ცემა. ჯერ როგორც ყოველისგან
მოსაწონარი და მასთან სუფრის ღაზა-
თი, დაბეჭდილი შავჭავჭავის ღვინო მი-
ვართვი, შემდეგ ჩამოდენივე გირვანქა
ახალციხური ვაშლიც უძღვენ და ბო-
ლოს მშვენიერი მაგნოლიას ყვავილიც
გაუშალე. მაგრამ მაინც არ მომცა სა-
შველი, სანამ ღობტურის მწარე სასმე-
ლი არ დავალევიე.

ზადერჩი თუ არა ამ „ბატონებს“,
გაიარა ჩამოდენივე ხანმა და მიტოვეს:
„თქვენს სოფელს ერთხონი ბატონები
სწვევიან, თურმე ისე ქლექს ხალხს,
როგორც ცელი ბალახსა“. ბუღმა
აღარ მომისვენა. მიფიქრე, იქნება ჩემმა
ღობტურის წამალმა ჩვენი სოფლის ბა-
ტონებიც გაისტუმროს-მეთქი, ჩამდენიც
შემძლო შევავროვე ქინა ქინა და ზო-
გი სხვა წამალი, და გაუდექ გზას.

ზხაზე ბევრმა სხვებმაც შემოაჩვილეს
სხვა-და-სხვა ბატონებზე; მაგრამ არავის
ყური არ ვათხოვე.

მოვედი ჩემს სოფელში; მაგრამ ვაი
ამისთანა მოსვლას! ჩვეულებრივი მხიარ-
ულებისა და სალამ-ქალამის ნაცვლად
ვხედავ: აგერ დედას საცოლო ვაჟი მოჰ-
კვდომია და გულ-საკლავად სტირის,
აგერ ახლად დაქერიებული პატარძალი
თავის ქმარზე იწვეება! საითაც გაიხედო
ვაი დედა, ვაი შვილო, ვაი რძალო,
ვაი ძმაო! ტირილ-კვითინი ისმის.

მანც კი ცოცხლები დამიხედნენ,
ყველას ქოქოლა მივაყარე, ყველანი
დავხტუქე და უთხარი:

— ალბათ ბატონებისათვის პატივი არ
გიციათ, ალბათ მათთვის ია-ვარდი არ
გავიშლიათ, თორემ აგრე სასტიკად არ
მოგეპყრობოდნენ-მეთქი? ჩემს კითხვაზე
აი რა მიპასუხეს:

— რა ექნათ, ძმაო, დიან არ განვა-

გარდაგდებული სამესხეთო, სადაც ოს-
მალები ფარფარობდნენ, ფეხი-ფეხ გაჰ-
ქონდათ, ზერუნდნენ, სრედნენ და ანი-
ადაგებდნენ სამოთხის უმშვენიერეს ქვე-
ყანასა!..

როცა ობილის ოსმალოებს ებრძო-
და სიმონ მეფე, გარეთგან ოსმალოები
აჭირვებდნენ ხოლმე რომ მოეშორებინ-
ათ ობილისისაგან; ასრე სინან-გაშაც
წამოვიდა ახალციხიდან და თან იახლა
შვარყვარე ათაბეგი მისის ნათართა, მა-
ნუჩარი კი ჩაუყენა იმერეთის მეფეს, რომ
არ შესძლებოდა შეწვენა სიმონ მეფე-
სათვის, (თუმც ამ მანუჩარს პირველად
მიგლო ათაბეგობა ხვათქრისაგან, გარნა
შვარყვარეს ხვანთქრის ფალავანი რომ
დაეცა, ათაბეგობა ამას დამტკიცებოდა).
ამათ დიდი ძალი მოიხმარეს ობილი-
სის მიდამოდ სიმონ მეფის დასამარცხე-
ბლად; მაგრამ მაინც ღმერთმან იმას
გაუმარჯვა. ამ ღროს სიმონ მეფემ თა-
ვის კეთილი სურვილის შესასრულებ-
ლად დაუწყო დაახლოვება ათაბეგებსა;
თავისი ასული მღენე შერთო მანუჩარ-
სა მეუღლედ, (1582). როცა შვარ-
ყვარე ათაბეგი გარდაიცვალა, ათაბეგო-
ბა დარჩა მანუჩარსა.

ახალციხეს ოსმალი ჩამდგარიყვენ,
აწყვერიდა დაშთენოდა მანუჩარ ათა-
ბეგსა თავ-შესაფარად. იქიდან ცდი-
ლობდა თავის მფლობელობის გავრცე-
ლებასა თუ არა, დაესხნენ ოსმალონი
თავს დიდის სიმრავლითა აზრუმისა და
ტრაპიზონის ფაშებითურთ. მაგრამ მა-
ნუჩარმა დაამარცხა საკვირვლად ისინი.
ამ ბრძოლაში დიდი სახელი გაიგრო

თურმე ჩვენმა წინაპარმა აწყვერის მოუ-
რავმა ზახა მეარამაძემ: პირველ წყობი-
სავე აწყვერის ჭალაში შეიდგერ შეიჭრა
ცხენოსანი ფარხმლით წინმომდგომ
ოსმალოს ურდო რაზმში და შეუყენა
საოცარი ჭლეტა-სრესა; ერთი თავიდან
მეორე თავს გადიოდა უნებელად. მერ-
ვედ შესვლისა წინ შემოხვდა აზრუმის
თავი ფაშა, ისე კიკასად მოჰკრამს
ხალსა, თავს წააგდებინებს და ჰაერით-
განვე თავისავე ფართ აიტაცებს თავსა,
რომ თვალს ვერ მოსწევნ მებრძოლნი;
წვერითგან კბილებით დაიჭრს, წინ
დამხდომთ გაპაროს, გაფა უწოდ თავის
წყობაში. როცა შუბზედ ააგებს და
უჩვენებს ოსმალთა იმ ფაშის თავს, მა-
შინვე შემტკიველებულნი იმოდენი ურ-
დო ერთიან პირს იღრეკს და გაიქცევა.
მიეტყვებიან მესხები დამფრთხალ ჯარსა
და საშინელ ანალგეს შეუყენებენ. ამ-
ბობენ, იქამდის წყვიტესო, რომ ექვსი
ფაშა დაიჭრა აზრუმის და ტრაპიზონის
ფაშების შემწენიო იმ დღეს. მათი დანაშთი
ნამოვარი ერთ კვირას უზიდნათ.

ზახას გმირობა ამით არ გათავებულა;
შეუერთებია თავისთან ქრისტიანი მესხნი
სარწმუნოების მხვერპლად, ცხრა ცხენ-
სიმაგრები დაუჭერია აწყვერითგან ხა-
ზაზავარამდის და იქიდან ურბევია მეტად
საგრძობლად ოსმალოები 15 წლამდის;
პირველში დიდი ფოლხი ზიანი მიუცია:
თურმე რომელი გზითაც გაველ-გამოვე-
ლოთ არტაანისა, ჩილდირისა თუ არ-
სიანისა, ყოველგან უხედებოდა ათას,
ორი ათას ცხენოსნით, უწყვეტად ჯარსა
და სცარცაველა მქონებელ ხაზინას. რომ

რისხებდით ბატონებს, დიხ არ გავის-
ტუმრებდით ვკრე უპატივ-ცემულოთ,
რომ საშვალდებარ მოგვეხატოდა. ბა-
ტონებიანი კი არა, კლამის უბატონო
ხალხიც მიმშლილით არ ამოგვეწყვიტა
ოჯახ-დაქცეულ შიორის მამასახლისმა...

— როგორ, რა ნაირად?

— რა ნაირად და ამ ნაირად: გვეწვია
თუ არა დალოცვილი ბატონები, შიო-
რის საზოგადოების მამასახლისმა დაჰკრა
დალაბანდი და დაგლო ხმა, ვითომც
ჩვენ შიორის განჩინილყოფს და უნაგ-
რიშო ხალხს ხოცდეს. ამასთანავე მთავ-
რობასაც ქალაქიდან აცნობა, რომ ეს
საქმე ნამდვილ ასეაო. ამ ნაირ ამბით
შეშინებულდებოდა როგორც შიორის სა-
ზოგადოებამ, აგრეთვე სხვებმაც გააკე-
თეს უკარახინები, შეგვეკრეს გზები,
ალარც ჩვენ საღმე გავგეშვეს, რომ
ავათმყოფებისთვის წამალი მიგვეშველ-
ბინაძდა ალარც ვინმე ჩვენთან მოუ-
შვეს... შეგვეწმინდათ, ასე თქვენი მტერი
შესწუხდეს! ლეინო ჩვენ ველარ ფიშო-
ვეთა ავთ-მყოფებისათვის და პური.

— რამდენი დაიხოცნენ, თუ იცით,
მას საქეთ, რაც ეს ავათმყოფობა გაჩნდა?

— შეე ბქნებიან სამოცამდინ დიდი
და პატარა.

— იქნება მართლა ჭირი იყო?

— აჰ, შენ არ მომიკვდე: რა რომ

ვერას ღონით თავს მოუვიდნენ, ახალ-
ციხის ციხე გადიდეს სამ-ოთხ კეცი გა-
ლაუნებით და შენობაებით, ჩაუყარეს
დიდ ძალი სურსათით ურიცხვი ჯარი
და ისე ძლივ ფეხი მოიმაგრეს.

მარამ აბა რა განდებოდა ხუთი თუ
ათი ათასი კაცის თავგანწირულობით,
როცა ასი ათასი მტრისაკან იყვნენ მიხ-
რობილნი.

რა გაიმადრეს ზურგი-მხარი ახალ-
ციხის ციხით მსმალობმა, მძევალი
აიღეს ყველასაგან. 1587 წ. მოვიდა სი-
მონ მეფე დიდ ძალი ჯარით შესა-
წვენელად მანუჩარ ათაბეგისა, გარნა
არ აბრძოლეს ქრისტიანე მესხებმა, რად-
გან ვნების მეტი სარგებლობა არა მიე-
ცემოდათ რა. სიმონ მეფემაც მოარბია
მანუჩარ ათაბეგის ურჩ-გამდგენი გადარ-
ჯულბეულნი; მაგრამ იმითიც არა გან-
და რა, უფრო ასტყდენ ყოველის მხრით.
რომ ველარ გაუვიდა ფილენ ორგულ
მოლაღატეთა, ტიის კარის ახალ-დაბას
ჩავიდა თავის სახლობა სამხედროთა,
კიდეე შეეწია სიმონ მეფე, მობრუნდა,
ამოწყვიტა მოწინააღმდეგენი, შეურბი-
და ოსმალთ და დაიპყრა ისევე საათაბე-
გო ხვანთქრის ნებითა.

მაგრამ ვაი იმისთანა დატყარას: ენა-
გამოუთქმელ ჭირ-შეიწროებაში იყო,
თუ შინაგანი თუ გარეგანის მტრისათვის
თავი ვერაფრით ვერ გაერთო. ან რით
უნდა მოსლოდა თავს, როცა მრისტეს
წმიდა სარწმუნოება ეგმოთ, სჯულ-კან-
ონს ფეხ-ქვეშ სარესდნენ, მღვდლებს
სდევნიდნენ, ეკკლესია-ხატებს ცარცემ-
დნენ და მუსრემდნენ, მშობლებს აუ-

მთავრობამ გაიგო, ჭირი გაჩენილაო,
გამოგვიგზავნეს დობტურები ნამდვილ
გარემოების შესატყობლად, დაიარეს ყო-
ველი ყურე-კუთხე სადაც კი ავათმყოფი
იწვა და სთქვენ, რომ ჭირი კი არ არის,
სახალი არის ბატონებიო. მას მქეთაგნაც
მოგვეცეს, ავათმყოფობამაც გადაკვეთა;
მაგრამ „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავ-
ლეს ტყავი გააძერესო“ — რომ იტყვიან
ისე კი მოგვივიდა და...

როგორც შევიტყვე, დობტურებს გა-
მოუტყვევიათ ის ავათმყოფობა და
უთქვამსთ ანაირი სენი სიბინძურებიდან
წარმოსდგებო. ჰქვანე ახლოს არის.
სქურებისთანა ბინძური და მურტალი
ხალხი მთელს რაჭაში არ მოიპოება.
შოველივე სიმყაროე, ნეხვი, ნაგავისულ
ცხვირის წინ უყრიათ და ყველა ამეებს
ისე არიან შეჩვეულნი, თითქო მშვენიე-
რი არომატი სურნელებდეს მათ შო-
რის.

მიხეილ ბავაშვილი.

უცხო ქვეყნები

საზრანგაში

ახლად მოსულოს ფრანკუზულს გავე-
თებში დაბეჭდილია ვრცელი აღწერა იმ

პატიურებდნენ, ნათესავეს ალარ ინდობ-
დნენ ღწ უმფროს მფლობელთ არაფრად
აგდებდნენ! მით გამარაღებულ იყო
ტაცევა-გლეჯა, პარვა, ჭრა, კვლა, მრუ-
შაობა, მამად მავლობა და ყოველ გვა-
რი ავხორცობა.

სიმონ მეფემ რომ დაუწყო მსმალთ
განდგომა, დაესხა თავს უგრობებელ-
ჯაფარ-ფეშა მთერებისა, დაიჭირა და
გააგზავნა მოსტანტინეპოლს ხვანთქარ-
თანა, სადაც ტანჯვა-წვალებამი მოჰ-
კლეს 1600 წ., და გამეფდა ძე მისი
ბიორგი. ამ დროს დაიჭირეს მსმალთ
მართლ-სომხეთი და გაუჭირვეს საქმე
ყოველ კაცსა. მით მესამე წელს ბი-
ორგი მეფე მართლისა და აღუქანდრე
მეფე ძახეთისა, შაჰაბაზ პარსის ხელმწი-
ფესთან მივიდნენ, პრეენის ასალებად
შემოდგომილსა. მანუჩარ ათაბეგსაც
რომ ალარავისგან ჰქონდა იმედი, მიჰმართა
შაჰაბაზსა პრეენს, მისცა ძე თვისი მ-
ნუჩარი საზრდოდ და მიართო ასპინძის,
ხერთვისის და მიმდგომნი ციხენი ძღვნად.
ასრე ჰქმნეს სომხებმაც, რომ შესწოლა
მსმალთების საწინააღმდეგოდ.

ასრე მსმალთს ფაშებს გაეცალნენ
და შეეხიზნენ შაჰაბაზსა, როგორც ტუ-
რისაგან დაფრთხალი ცხვრის ხარვა
თვალ სისხლიან მგელსა; მათი შეგუ-
ლიანებით შეერთებთა გაუშალა ომი
შაჰაბაზში ხვანთქარსა, დააპარცხა პლი-
ფაშა მთერებისა, დაიჭირა მთერები
მისი მიდამობითა, სადაც ქართველი,
ხომები და ურია დახვდა, სულ გარდა-
ასახლა პარსეთისკენ. ამ დროს გარდა-
ყვანილნი უნდა იყვნენ ასპანის მახ-

მონგრესის სხდომისა, რომელმანც გარ-
დაწყვიტა ნაციონალურ ძრებისა და სე-
ნატის გადმოტანა მერსალისა შიორში.
ამ აღწერილამ სიანს, რომ ქრისტიანე-
სის სხდომის განსწისათანავე (თავსმჯდო-
მარედ იყო სენატის თავსმჯდომარე მარ-
ტელი) იუსტიციის მინისტრმა ლე-რუ-
აიმ წარადგინა წინადადება კონსტიტუ-
ციის მე-9 მუხლის მოსპობაზე. მონგ-
რესმა გარდაწყვიტა, რომ ამ საგნის
განსახილველად დაინიშნოს 15 კაცი-
საგან შემდგარი კომისია, რომლის თავ-
მჯდომარედ ამოირჩიეს ბამბეტა და
მომხსენებელად შულ სიმონი. შემდეგ
მონგრესი დროებით დაიხურა.

სალამოს მონგრესი ხელ-ახლად შეი-
ყარა და კომისიამ წარუდგინა თავის
აზრი, რომ მე-9 მუხლი კონსტიტუციისა,
რომლის ძალითაც ნაც. ძრება და სენა-
ტი მერსალში უნდა იკრიბებოდეს, მოს-
პობილი უნდა იქნესო.

რადგან ამავე საგანზე ნაც. ძრებისა
და სენატში წინა დღეებში იყო მოლა-
პარაკება და ორთავე პალატამ ხმის-
უმეტესობით გარდაწყვიტეს ამ მუხლის
მოსპობა, ამის გამო მონგრესში ბევრი
ლაპარაკი და ბაასი აღარ ყოფილა. ძენ-
ქის-ყრა დაიწყეს და 526 ხმის უმეტე-
სობით 249 ხმაზე მონგრესმა დადგინა
შემდეგი გარდაწყვეტილება: მესხრე
მუხლი 25 თებერვლის 1875 წლის

ლობელ მახრის ქართველობა, სადაც
ქართული ლაპარაკი ისევე სცოდნიათ.

შაჰაბაზის გაოზრებას მოჰყენენ ფენ-
და-ფენ მსმალთ ჯალოლნი; რაც იმათ
დაშთენოდა, ისიც იმათ გააოზრეს სომ-
ხეთი ხუთი ათასობით და მთი ათასო-
ბით. ძელავე შაჰაბაზთან გარდაასახლა
ჯულფი ერთიან პარსეთში, აგრეთვე
შოლავერით მოკიდებული ლორ-ნახე-
ვანამდას სულ გააწვირბალოა სომ-
ხობა მსმალთ ჯავრზედა.

აოზრებულ სასომხეთო-საქართველო-
ში გაჩნდა საშიშარი მიმშლილი უხნაე-
უთესველობით, უსაქონლობით და უკა-
ტურობით; კარ-და-კარ მოწანწალეთ რომ
ველარსად მოგენეს სულის ჩასადგმელი
სარჩო, აშალ-მოპარვით დაიხოცნენ; სა-
დაც გაეგლო კაცსა სოფლად, ნაოზრებ-
ში, მინდორ-ყანა-ჭალაში, მიმშლილით
დახოცილ მკედრებს ვერ აუქცევდა!..

ამ უბედურებას მოჰყვა უარესი ღვთის
რისხვა ჭირი, დაგეზდნენ ადამიანის მძო-
რის ჭამით მხეცები, მგლები, მგელ-
კაცანი, ფოცხვერნი და ღლისით მზისით
სოფლებში ცვიოდნენ ათობით, ოცო-
ბით, ვარდებოდნენ კაცს ცხვიპრზედ,
აქცევდნენ პარქვე და იქვე ინაწილებ-
დნენ ცოცხალ-ცოცხალსა! სად დედა-
კაცებს სჭამდნენ, სად ყმაწვილსა ბე-
რნიც ეზო-სახლებში ჰვარდებოდნენ, დე-
დებს ძუძუ-აწოვარ ჩივილებს ჰკლავდნენ
ღლიდგან და მიჰქანდათ.

ამ რიგად გაოზრდა სომხეთი და სა-
ქართველოს მხარენი!

ვინმე მესტი



ქონსტიტუციისა გაუქმდება. ამის შემდეგ თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ქონგრესის დახურულია.

ბოლგარია

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია სოფიიდან მიღებული ტელეგრაფმა, რომელიც გვაცნობებს, რომ ბოლგარიის დროებით მმართველი რუსის კომისარი თ. ღონდუკოვ-პორსაკოვი 10 ივნისს დაბრუნებულა ამ ქალაქიდან რუსეთში და იქაურ ხალხს დიდს ამბით გამოუცხადებია.

ოსმალეთი

საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა განხეთქილება, ახალი სამზღვრების თაობაზედ ჯერ, კიდევ არ გათავებულა და, როგორც ამბობენ, ასე ადვილად არც კი გათავდება. ამბობენ, ხონთქარმა სთქვაო, რომ იანინს არამც-და-არამც არ დაუთმობ საბერძნეთსა და ქიპრიც იმიტომ დაუთმე ინგლისსაო, რომ შიპრი დამარჩეს ხელ-უხლებელათაო.

— სტამბოლის გაზეთებში იწერებინ, რომ როგორც მამედ-ნელიმ-ფაშა დაბრუნდება სტამბოლში, ხონთქარი იწამსვე მითხალ-ფაშასაც მისცემს უფლებას აგრეთვე სტამბოლში დაბრუნებისასო.

განსხვავებანი

მაჰმდ კატივი განუცხადო თვითის კატივცემულ ვაჭრებს, რომ ვე მოვიტანე კარაქი და მყოფელ ვაჭარი საქონლის ნიშნუში, რომლებზედაც **კი-ლებ ზაკაებს** კარბის პირობებით.

მსუხველთ შუამლიანთ ნახონ მს ნიშნუში უ. არწრუნის ქარვასლაში,

№ 181, სადაც იმხნება გამოუვინილი მოკლე ხნით. პარიჟის შირაბი: Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი. (12—1)

გურიანში, სოფელს ხიდის-თავში გავხსენი სტალიარის ქარხანა. ვაკეთებ ყოველ გვარ კარგ მებელს, იფ ფასად. მსურველს შეუძლიან მომართოს მღვდ. შილიპე ძალანდაძის სახლში.

სეკაშიონ კალანდაძე (5—1)

პატივი გვაქვს გამოუცხადოთ უფ ხონისა და აგრეთვე მსურვეთის მოვაჭრეებს: იენისიდან თფლისში ჩაბარეული ქარვასლებიდან ყოველივე ხორავი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და მსურვეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვდლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ძანტორა იმყოფება: პირველი—თფლისში (შარყმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციასზედ. 2-რე გილდი.

ზარსევან იაგ. რატიანი. (4—2)

ჭუთაისში

ქ. მესხის წიგნის გალავნი

იხილება შემდეგი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლევანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ზაბრიელი მიერ. შასი 1 მან. და 50 კაპეიკი.
- 2) იგივე, უკეთესს ქალაღზე დაბეჭდილი. შასი 2 მან.

3) რუსული დასაწყისი იენის რუსული ქართვალთათვის (Практический начальный курс рус. языка для друзинъ) — შედგენილი ზ. კ. შვილის მიერ. შასი—60 კაპ. შინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი ლათმობა 50 კაპეიკად.

4) დედა მან—ი. ზოგებაშვილისაგან, 50 კა.

5) სიზრძე სიცრუის წიგნი შასი — — — — 50 კაპ.

6) გუნების კარი—ი. ზოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა გიგლიოთეპა—იმიხივე — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ლამბაშიძისაგან — — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შრისთვისა — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანპა, პოემა ზ. წერეთლისა — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — 50 —

13) შარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი — — — — 30 კა. და 40 კაპ.

14) რძალი, მული და მარინიკები—ომ. თუთაიერს — — — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — — 25—

17) „გუბიაობა“ ვოდვეილი აკაკისა — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია ბრიბოდოვისა, ნათარგმნი ზ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაიის მუჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) გოგონი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

სასოფლო შკოლავს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ. მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში ძლუბის ქვეშ.

რბ. გზა.	დილ.	საღმ.	II კ.	III კ.	ბელგრავი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 18 იენის.		ქრევის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძაკასიის აქთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	ავთმოფეხს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდან 1-დინ
ბორი	11 58	9 43	3	153	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურღს, მარშავს	2	შქვ. წითელი	170	მ. რ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიეი და ბარალევიჩი—შინიგ. ავთ., შიუ გა-
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	ოსმალეთში, შვეიცარიაში	2	შერა ფუთი	125	როანც—ქალის ექიმი და საშვი-
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3	ბაბა შერენისა, ფუთი.	8 30	ლოსნოს ოპერაციები.
შვირილა	5 49		7 21	3 69	ინგლისში.	3 50	—აპერიკისა, ფუთს	9 40	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიეი—ში-
რიონი	6 57		8 44	4 31		3 50	შაპენტილი ბაბა ფუთი.	10 70	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სამტრედია	7 51		9 66	4 93		3 75	მატყული თუშური ფუთი.	8 20	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიეი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47			—თარაქამისა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
ფოთი	9 50		12 24	6 26			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	2 10	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიეი—ში-
ფოთი	9 3						აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	5 80	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	7 60	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	12 40	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
რიონი	12 13		3 84	1 97			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	72	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
შვირილა	1 18	ლაგე.	5 3	2 56			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	90	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სურამი	5 12		11 07	3 74			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	4 50	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
ხაშური	5 39		1 37	7 51			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	7 15	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
ბორი	7 5		4 89	4 73			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	5 80	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
მცხეთა	8 50		6 59	11 39			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	11 80	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
თფილისი	9 31		7 6	12 24			აბრეშუმ, ნუხური სტაქონი ფუთი	6 50	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.